

*დამტკიცებულია:
საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ
2018 წ. 04 ოქტომბერი, ოქმი N8*

ცვლილებები და დამატებები შეტანილია:

*საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,
2019 წ. 19 თებერვალი, ოქმი №2*

*საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,
2019 წ. 15 მაისი, ოქმი №5*

*საქართველოს საფონდო ბირჟის
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,
2020 წ. 28 მაისი, ოქმი №3*

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**“საქართველოს საფონდო ბირჟაზე” ფასიანი ქაღალდების სავაჭრო
სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ**

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“ (შემდგომში - „დებულება“) შემუშავებულია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის, „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში - „ბირჟა“) წესდებისა და სხვა მარეგულირებელი წესების შესაბამისად.

1.2. დებულება არეგულირებს:

1.2.1. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებას;

1.2.2. სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერებას;

1.2.3. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნას;

1.2.4. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვებას;

1.2.5. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის შეჩერებას;

1.2.6. ფასიანი ქაღალდების ლისტინგიდან ამოღებას (დელისტინგი);

1.2.7. ურთიერთობებს ბირჟასა და მასზე სავაჭროდ დაშვებულ ან ლისტინგში მყოფი ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს (შემდგომში - „ემიტენტი“) ან წევრებს შორის.

1.3. დებულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.4. ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს დებულებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები.

2. ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდების დაშვების პირობები

2.1. ბირჟაზე სავაჭროდ დაიშვება ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა რეესტრის წარმოება ხდება:

2.1.1. ადგილობრივი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის მიერ;

2.1.2. სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს ეროვნული ბანკის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან ცენტრალური დეპოზიტარის მიერ;

2.1.3. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირის ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ;

2.1.4. უცხოური ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში:

ა) ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო დეპოზიტარის (მათ შორის ბანკის) მიერ,

ბ) უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის მიერ,

გ) 2.1.4 პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებში მოცემული სუბიექტების კლიენტის ან წარმომადგენლის - რეზიდენტი ან არარეზიდენტი კასტოდიანის/კომერციული ბანკის მიერ,

დ) უცხო ქვეყნის უფლებამოსილი რეგისტრატორის მიერ.

ბირჟის სავაჭრო სისტემაში დასაშვებად ფასიან ქაღალდებს ასევე მინიჭებული უნდა ჰქონდეთ ფასიანი ქაღალდების შესაბამისი ბაზრის სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს (შემდეგში - „მარეგულირებელი ორგანო“) ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომერი (ISIN);

2.1¹. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფასიანი ქაღალდები დაშვებულია ბირჟის მომსახურე ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“) სააღრიცხვო სისტემაში.

2.2. საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალდები ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაიშვება მათი გამოშვების ოფიციალური პირობების საფუძველზე;

2.2¹. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ფასიანი ქაღალდები (შემდგომში - „მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები“) ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაიშვება 2.1 პუნქტით განსაზღვრული პირობებით;

2.3. უცხო ქვეყნის ემიტენტების, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (შემდეგში - „საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები“) და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული განვითარებული ქვეყნ(ებ)ის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი განვითარების ორგანიზაციების (შემდეგში - „განვითარების ორგანიზაცია“) მიერ გამოშვებული, ან/და უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდები ბირჟის სავაჭრო სისტემაში დასაშვებად 2.1 პუნქტის მოთხოვნებთან ერთად დამატებით უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობას: ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ ორგანიზაციას (კასტოდიანი/კომერციული ბანკის ჩათვლით) უნდა ჰქონდეს სახელმეკრულებო ურთიერთობები ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტართან.

2.4. ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები იყოფა არასალისტინგო და ლისტინგის ფასიან ქაღალდებად;

2.5. ლისტინგის ფასიანი ქაღალდები იყოფა A კატეგორიისა და B კატეგორიის ლისტინგის ფასიან ქაღალდებად.

2.6. არასალისტინგო ფასიანი ქაღალდები ბირჟაზე სავაჭროდ დაიშვება 2.1-2.3 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით.

3. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვების პირობები

3.1. ადგილობრივი კორპორაციული ფასიანი ქაღალდები ბირჟის ლისტინგში შესატანად 2.1-2.1¹ პუნქტების მოთხოვნებთან ერთად დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებს.

3.2. უცხო ქვეყნის ემიტენტების, მათ შორის საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდები ბირჟის ლისტინგში დაიშვება ამ მუხლის 3.5 პუნქტის შესაბამისად და წინამდებარე დებულების 2.3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

3.3. საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალდები ბირჟის ლისტინგში დაიშვება ემიტენტის ან ბირჟის წევრის მომართვის საფუძველზე.

3.4. მუნიციპალური ფასიანი ქაღალდები ბირჟის ლისტინგში შესატანად 2.1 პუნქტის მოთხოვნებთან ერთად დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1-ის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

3.5. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და განვითარების ორგანიზაციების, აგრეთვე ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული უცხო ქვეყნის საფონდო ბირჟებიდან (შემდეგში - „აღიარებული საფონდო ბირჟა“) ერთ-ერთზე მაინც დაშვებული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვება შესაძლებელია გამარტივებული წესით, ინდივიდუალურად მისთვის განსაზღვრული დოკუმენტაციის/ინფორმაციის ბირჟაზე წარმოდგენის საფუძველზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული ლისტინგში დაშვების გამარტივებული წესი შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე იმ ემიტენტის მიმართ, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე გამოირჩევა სანდოობის განსაკუთრებული ხარისხით, აქვს ცნობადობის მაღალი დონე, კარგი რეპუტაცია, მაღალი საკრედიტო რეიტინგი, საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება, მდგრადი ფინანსური მაჩვენებლები და გამჭვირვალობის მაღალი დონე.

3.6. ბირჟის A და B კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დასაშვებად აუცილებელია ემიტენტის მიერ არანაკლებ 2 წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის დასკვნის წარმოდგენა. თუ ემიტენტი საქმიანობას 2 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ახორციელებს, მაგრამ წარმოადგენს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ფ“ პუნქტით გათვალისწინებულ სათავო საწარმოს (სათავო ორგანიზაციას), ან/და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14⁴ პუნქტით განსაზღვრული რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ საწარმოს, ამ და მსგავს შემთხვევებში ბირჟამ მარეგულირებელ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციების გავლის შემდეგ გამონაკლისის სახით შეიძლება განიხილოს ასეთი ემიტენტის ფასიანი ქაღალდების B კატეგორიის ლისტინგში დაშვების საკითხი. შესაბამისად, ამ პუნქტში აღნიშნულ ანგარიშგებას ემიტენტი წარადგენს დაარსებიდან ბირჟაზე ლისტინგში დაშვებაზე განაცხადის წარდგენამდე პერიოდისათვის.

3.7. ფასიანი ქაღალდების რომელიმე კატეგორიის ლისტინგში დაშვებამდე ბირჟის ლისტინგის სამსახური რიცხოვრივ მონაცემებთან (ფინანსურ მაჩვენებლებთან) ერთად ასევე განიხილავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა ემიტენტის ცნობადობის დონე, რეპუტაცია, საკრედიტო რეიტინგი, საქმიანობის ძირითად

სფეროში არსებული გამოცდილება, გამჭვირვალობის დონე (მათ შორის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით).

4. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვების წესი

4.1. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვების საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი N3ა), (გარდა სამთავრობო ფასიანი ქაღალდებისა). განაცხადს წარადგენს ემიტენტი ან ბირჟის წევრი.

4.2. 4.1. პუნქტში აღნიშნულ განაცხადს თან უნდა დაერთოს N2ა დანართში ჩამოთვლილი დოკუმენტები.

4.3. ადგილობრივი კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვების საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი N3ბ). განაცხადს წარადგენს ემიტენტი ან ბირჟის წევრი.

4.3¹. უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ან/და განვითარების ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვების საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი N3გ). განაცხადს წარადგენს ემიტენტი ან ბირჟის წევრი.

4.3². საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვების საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი N3დ). განაცხადს წარადგენს ემიტენტი ან ბირჟის წევრი.

4.3³. მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვების საკითხის განხილვის საფუძველს წარმოადგენს ბირჟის გენერალური დირექტორის სახელზე წარდგენილი განაცხადი (დანართი N3ე). განაცხადს წარადგენს ემიტენტი ან ბირჟის წევრი.

4.4. 4.3. პუნქტში აღნიშნულ განაცხადს თან უნდა დაერთოს N2ბ დანართში ჩამოთვლილი დოკუმენტები.

4.4¹. 4.3¹. პუნქტში აღნიშნულ განაცხადს თან უნდა დაერთოს N2გ დანართში ჩამოთვლილი დოკუმენტები. დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილი იქნას ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

4.5. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დასაშვებად წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე ბირჟის ლისტინგის სამსახური პასუხს არ აგებს. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხს აგებს მათი წარმომდგენი ემიტენტი/ბირჟის წევრი.

4.6. ბირჟის სავაჭრო სისტემაში ან/და ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დაშვებაზე განაცხადის და სხვა საჭირო დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში ბირჟა დაუშვებს ან დასაბუთებულ უარს ეტყვის განაცხადის წარმომდგენს ფასიანი ქაღალდის სავაჭრო სისტემაში ან/და ლისტინგში დაშვებაზე.

4.7. განაცხადი და თანდართული დოკუმენტები წარდგენიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა დირექტორს ვაჭრობაზე დაშვების დარგში, რომელიც გადასცემს დოკუმენტებს განსახილველად ლისტინგის სამსახურს მიღებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში.

4.8. ლისტინგის სამსახური მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს შემოტანილ დოკუმენტებს.

4.9. ლისტინგის სამსახურს საჭიროების შემთხვევაში უფლება აქვს წერილობით მოითხოვოს განმცხადებლისგან დამატებითი ინფორმაცია შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დასაზუსტებლად.

4.10. შემოტანილ დოკუმენტებთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით განმცხადებლის მიერ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის მომენტიდან 4.6 და 4.8 პუნქტებში მითითებული ვადა თავიდან აითვლება.

4.11. თუ განმცხადებელი არ ეთანხმება ლისტინგის სამსახურის მოქმედებას, მას უფლება აქვს საპრეტენზიო განაცხადით (დანართი N5) მიმართოს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს.

4.11¹. სამეთვალყურეო საბჭო უახლოეს სხდომაზე განიხილავს საპრეტენზიო განაცხადს და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს 4.17 პუნქტის შესაბამისად ეგზავნება შეტყობინება.

4.12. ლისტინგის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდგომ 1 სამუშაო დღის ვადაში დირექტორი ვაჭრობაზე დაშვების დარგში აკეთებს დასკვნას, რომელსაც წარუდგენს გენერალურ დირექტორს.

4.13. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის გენერალური დირექტორი არა უგვიანეს 1 სამუშაო დღისა, მისთვის 4.12 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნის წარდგენიდან.

4.14. სამთავრობო ფასიანი ქაღალდები ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაიშვება გენერალური დირექტორის გადაწყვეტილებით ლისტინგის სამსახურის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, 2.2 პუნქტის შესაბამისად, მათი საქართველოს ეროვნული ბანკის აუქციონზე განთავსების შემდეგ.

4.15. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვებისათვის გენერალური დირექტორი დასკვნას წარუდგენს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

4.16. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო.

4.16¹. ემიტენტის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ლისტინგში დაშვებამდე ბირჟაზე სავაჭროდ არ იყო დაშვებული, ლისტინგში მათი დაშვების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ავტომატურად დაიშვება ბირჟის სავაჭრო სისტემაში

4.17. ბირჟის გენერალური დირექტორის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს ოფიციალურად ეგზავნება შეტყობინება შედეგის შესახებ.

4.18. ფასიანი ქაღალდების ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ:

4.18.1. ბირჟა დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს, ცენტრალურ დეპოზიტარს და ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;

4.18.2. ბირჟა საკუთარ ვებ-გვერდზე www.gse.ge აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;

4.18.3. ფასიანი ქაღალდებს ენიჭება კოდი „საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდების კოდებისა და წევრებისათვის ფსევდონიმებისა და პაროლების მინიჭების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

4.19. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვების მოთხოვნების შეუსრულებლობის მიზეზით ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბირჟის ლისტინგში დაშვების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ბირჟა გადაწყვეტილებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის შეტყობინებას განმცხადებელს და აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას აღნიშნული ფაქტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაცია ლისტინგში მოსალოდნელი დაშვების შესახებ ემიტენტის/წევრის მიერ იქნა რაიმე გზით გასაჯაროებული.

4.19¹. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვებაზე ამ მუხლის 4.19 პუნქტით გათვალისწინებული უარყოფითი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საწყისი ერთჯერადი სალისტინგო შენატანის დაბრუნების საფუძველს. ემიტენტს/წევრს შეუძლია გაასაჩივროს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.20. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ემიტენტს/წევრს და ბირჟას შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება (ეს მოთხოვნა არ არის სავალდებულო სამთავრობო, მუნიციპალური, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში).

4.21. ემიტენტთან/წევრთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში ბირჟა აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე www.gse.ge ფასიანი ქაღალდების ლისტინგში შეტანის შესახებ.

5. ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერებისა და ვაჭრობიდან მოხსნის პროცედურა

5.1. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის გენერალური დირექტორი, ვაჭრობაზე დაშვების დარგში დირექტორის მიერ მისთვის აღნიშნულ საკითხზე დასკვნის წარდგინების საფუძველზე 1 დღის ვადაში.

5.2. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

5.3. თუ ემიტენტი/წევრი არ ეთანხმება 5.1 პუნქტში აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს ამ გადაწყვეტილების გადასახედად სამეთვალყურეო საბჭოს მიმართოს

საპრეტენზიო განაცხადით, რაც განიხილება 4.11¹ პუნქტით დადგენილი წესით. ემიტენტს/წევრს შეუძლია გაასაჩივროს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:

5.4.1. ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა, ასევე ბირჟის წესებით გათვალისწინებული (მათ შორის, ამ დებულების მე-7 მუხლით დადგენილი შესაბამისობის და საანგარიშგებო) მოთხოვნების დარღვევა;

5.4.2. მომსახურე რეგისტრატორის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების დარღვევები;

5.4.3. ბაზარზე მოვლენათა ისეთი განვითარება, რომელიც ინვესტორთა ინტერესების დაცვის მიზნით მოითხოვს ვაჭრობის შეჩერებას;

5.4.4. მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის ან/და გარიგებების შეჩერება;

5.4.5. მომსახურე რეგისტრატორის მიერ ემიტენტისათვის მომსახურების დროებით შეწყვეტა;

5.4.6. რეგისტრატორის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრში ფასიანი ქაღალდების ყოველი კლასის, ასევე თითოეული კლასით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის ცვლილება;

5.4.7. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების შეჩერება.

5.5. ბირჟა უფლებამოსილია 5.4.1 პუნქტში აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას, ამ ხარვეზების შესახებ წერილობით აცნობოს ემიტენტს და შეტყობინების გადაცემიდან მისცეს მას გონივრული ვადა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ემიტენტი აღნიშნულ ვადაში არ აღმოფხვრის ამ ხარვეზს, მაშინ ბირჟას შეუძლია შეაჩეროს ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა.

5.5¹. საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის - „შეასრულე ან ახსენი“ - თანახმად, ბირჟა უფლებამოსილია არ შეაჩეროს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა 5.4.1 პუნქტში აღნიშნული დარღვევების გამოვლენისას, თუ ემიტენტის მიერ უზრუნველყოფილია 7.4 და/ან 7.19 პუნქტის მოთხოვნების შესრულება.

5.6. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს, ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს, ემიტენტსა და მის მომსახურე რეგისტრატორს.

5.7. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ბირჟა 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

5.7¹. ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობის შეჩერება არ ათავისუფლებს ემიტენტს ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საანგარიშგებო ვალდებულებებისაგან.

5.8. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა განახლდება:

5.8.1. 5.4.1 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში - ემიტენტის მიერ ბირჟის გენერალური დირექტორისთვის ვაჭრობის შეჩერების მიზეზის აღმოფხვრის თაობაზე დასაბუთების წარდგენისას;

5.8.2. ყველა დანარჩენ შემთხვევაში - თუ აღმოფხვრილია ის მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე ინვესტორებს.

5.9. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განახლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გენერალური დირექტორი ლისტინგის სამსახურის ან/და ვაჭრობაზე დაშვების დარგში დირექტორის რეკომენდაციით და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს, ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს, ემიტენტსა და მის მომსახურე რეგისტრატორს.

5.10. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განახლების შემთხვევაში ბირჟა გადაწყვეტილების მიღებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე www.gse.ge.

5.11. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის მიერ დასკვნის წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული დასკვნა მზადდება ვაჭრობაზე დაშვების დარგში დირექტორის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდებს გააჩნია დაფარვის ვადა, მისი ამოღება სავაჭრო სისტემიდან ხორციელდება ავტომატურად (სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე), დაფარვის დღემდე 2 სამუშაო დღით ადრე, ვაჭრობის დამთავრებისთანავე.

5.12. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება იყოს:

5.12.1. ემიტენტის რეორგანიზაცია, გაკოტრება ან ლიკვიდაცია;

5.12.2. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების დღიდან ბირჟის მიერ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გონივრულ ვადაში ვაჭრობის შეჩერების მიზეზების აღმოუფხვრელობა;

5.12.3. ემიტენტის მიერ საზოგადოების ან ინვესტორების შეცდომაში შეყვანა ყალბი ინფორმაციის ჩვენებით;

5.12.4. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ვადის დასრულება;

5.12.5. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების დღიდან ბირჟის მიერ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გონივრულ ვადაში ემიტენტის მიერ რეგისტრატორთან ხელშეკრულების არ გაფორმება;

5.12.6. თუ მათზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ბოლო 6 თვის განმავლობაში გარიგება არ დადებულა ან არ დაფიქსირებულა;

5.12.7. ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ამოღება დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიიდან;

5.12.8. ემიტენტის/წევრის განცხადება ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ (განცხადებას თან უნდა დაერთოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ ემიტენტის წესდებით (ან სათანადო ნორმატიული აქტით) განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს - სამეთვალყურეო

საბჭოს/აქციონერთა კრების გადაწყვეტილების დამადასტურებელი საბუთის ასლი);

5.12.9. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში: სასამართლოს განჩინება ან/და მარეგულირებელი ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს წერილობით დასაბუთებას.

5.13. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას მარეგულირებელ ორგანოს, ცენტრალურ დეპოზიტარს, ემიტენტსა და მის მომსახურე რეგისტრატორს.

5.14. ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ბირჟა 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

6. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის შეჩერება და დელისტინგი

6.1. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებით შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის გენერალური დირექტორი ვაჭრობაზე დაშვების დარგში დირექტორის მიერ მისთვის აღნიშნულ საკითხზე დასკვნის წარდგინების საფუძველზე.

6.2. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გენერალური დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს.

6.3. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებით შეჩერების საფუძველი შეიძლება იყოს:

6.3.1. დებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვების რომელიმე პირობის დარღვევა;

6.3.2. დებულების დანართი N1-ით განსაზღვრული ლისტინგის პირობებთან და კრიტერიუმებთან შეუსაბამობა;

6.3.3. დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისობისა და საანგარიშგებო მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

6.3.4. ანგარიშგებათა გასაჯაროების მიმართ წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

6.3.5. მოქმედი კანონმდებლობის ან ბირჟის სხვა წესებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

6.4. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებით შეჩერების შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ მარეგულირებელ ორგანოს, ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას ემიტენტს, რომელშიც მითითებულია ლისტინგის შეჩერების მიზეზ(ებ)ი და დათქმულია გონივრული ვადა ხარვეზ(ებ)ის გამოსასწორებლად.

6.5. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებით შეჩერების შესახებ ბირჟა შეჩერებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებგვერდზე www.gse.ge.

6.5¹. ფასიანი ქაღალდების ლისტინგის დროებითი შეჩერება არ იწვევს ამ ფასიან ქაღალდზე ვაჭრობის შეჩერებას და არ ათავისუფლებს ემიტენტს ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საანგარიშგებო ვალდებულებებისაგან.

6.6. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში აღდგენა განხორციელდება, თუ ემიტენტი ბირჟის მიერ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრის ლისტინგის შეჩერების მიზეზებს.

6.7. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში აღდგენის შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ მარეგულირებელ ორგანოს, ბირჟის წევრებს და წერილობით უგზავნის შეტყობინებას ემიტენტს.

6.8. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში აღდგენის შემთხვევაში ბირჟა 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

6.9. ფასიანი ქაღალდების დელისტინგის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭო გენერალური დირექტორის მიერ აღნიშნულ საკითხზე დასკვნის წარდგინების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ფასიან ქაღალდებს გააჩნია დაფარვის ვადა, მისი დელისტინგი ხორციელდება ავტომატურად (სპეციალური გადაწყვეტილების გარეშე), დაფარვის დღემდე 2 სამუშაო დღით ადრე, ვაჭრობის დამთავრებისთანავე, რაც იწვევს ამ ფასიანი ქაღალდის ავტომატურად ამოღებას სავაჭრო სისტემიდან. სხვა შემთხვევაში, თუ ადგილი არ აქვს მე-5 მუხლის 5.12 პუნქტით განსაზღვრულ საფუძველს, დელისტინგი არ იწვევს ფასიანი ქაღალდის ამოღებას სავაჭრო სისტემიდან.

6.10. ფასიანი ქაღალდების დელისტინგის საფუძველი შეიძლება იყოს:

6.10.1. ემიტენტის/წევრის მიერ ბირჟასთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის: კანონმდებლობით, ამ დებულების დანართი N1-ით განსაზღვრულ ლისტინგის პირობებთან შესაბამისობის, მე-7 მუხლით განსაზღვრული საანგარიშგებო და ბირჟის სხვა წესებით დადგენილი მოთხოვნების ზედიზედ სამზე მეტი დარღვევა;

6.10.2. ემიტენტის/წევრის მიერ ბირჟასთან დადებული ხელშეკრულების ვადის გასვლა ან ემიტენტის/წევრის განცხადების საფუძველზე - ხელშეკრულების შეწყვეტა;

6.10.3. ლისტინგის შეჩერების დღიდან ბირჟის მიერ წერილობით შეტყობინებაში მითითებულ გონივრულ ვადაში ლისტინგის შეჩერების მიზეზების აღმოფხვრელობა;

6.10.4. ბირჟის მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ამოღება დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიდიდან;

6.10.5. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ვადის დასრულება;

6.10.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში: სასამართლოს განჩინება ან/და მარეგულირებელი ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს წერილობით დასაბუთებას.

6.11. ფასიანი ქაღალდების დელისტინგის შემთხვევაში ბირჟა იმავე დღეს ატყობინებს ამის შესახებ მარეგულირებელ ორგანოს, ბირჟის წევრებს და უგზავნის შეტყობინებას ემიტენტს.

6.12. ფასიანი ქაღალდების დელისტინგის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ბირჟა 1 სამუშაო დღის ვადაში აქვეყნებს ოფიციალურ ინფორმაციას საკუთარ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

7. სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების და მათი ემიტენტების (გარდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და განვითარების ორგანიზაციისა) შესაბამისობის მონიტორინგი

7.1. ბირჟა უზრუნველყოფს მონიტორინგს სავაჭრო სისტემაში და ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიმართ, რათა დადგინდეს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სათანადოობა ბირჟის იმ სეგმენტის მიმართ, რომელშიც ის არის დაშვებული.

7.2. მონიტორინგი წარმოებს როგორც ემიტენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის და საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვის მიმართულებით, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის კანონმდებლობით დადგენილი მოცულობითი და შინაარსობრივი ხარისხიანობის განსაზღვრის მიმართულებით. ასევე, ემიტენტი მთავრად ამ ანგარიშგებათა გასაჯაროების უზრუნველყოფის მიმართულებით.

7.3 შესაბამისობის მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს 7.2 პუნქტით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით საანგარიშგებო დოკუმენტაციის წარმოდგენის აღრიცხვას, წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის შესწავლას და გაანალიზებას, ხორციელდება დადგენილი პერიოდულობით (ყოველ 6 თვეში) ემიტენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე და საანგარიშგებო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

7.4. საანგარიშგებო დოკუმენტაცია, რომელიც წარედგინება ბირჟას, მოიცავს ემიტენტის წლიურ აუდიტებულ ანგარიშს (მათ შორის მმართველობის ანგარიშგებას), ნახევარი წლის არააუდიტებულ ანგარიშს, მიმდინარე ანგარიშს, მმართველი ორგანოს წევრების საკუთრებაში არსებული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიშს, პირის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების ანგარიშს. აღნიშნული საანგარიშგებო დოკუმენტაციის ან მისი რომელიმე ნაწილის ამ დებულებით განსაზღვრული წესით და ფორმით წარმოდგენლობა დასაშვებია მხოლოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

7.5. წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად მომზადებულ ცალკე მდგომ ფინანსურ ანგარიშგებას (standalone) ან/და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს აუდიტორული უპირობო ან მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით, თანახმად „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა. აუდიტორის მიერ გაცემული მოდიფიცირებული უარყოფითი დასკვნა ან დასკვნის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენს ვაჭრობის ან/და ლისტინგის შეჩერების საფუძველს, თანახმად წინამდებარე დებულების 5.4.1 და 6.3.3 პუნქტების მოთხოვნებისა.

7.6. ლისტინგში დაშვებული კომპანიები წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს მხოლოდ უპირობო ან მოდიფიცირებული

პირობითი აუდიტორული დასკვნით, წარმოადგენენ მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც შედგენილი უნდა იყოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების და საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს რეკომენდაციების შესაბამისად. სალისტინგო კომპანიის მიერ მოდიფიცირებული პირობითი დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში, ბირჟის ლისტინგის სამსახური პირობის არსებითი ასპექტების განხილვის საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური ანგარიშგების სათანადოდ აღიარების შესახებ. არასათანადოდ მიჩნეული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ლისტინგის შეჩერების საფუძველს, თანახმად წინამდებარე დებულების 6.3 პუნქტის მოთხოვნისა.

7.7. წლიური ანგარიშის თავფურცელი უნდა შეიცავდეს საგანგებო მითითებას კომპანიის ვებ-გვერდის შესახებ, სადაც იქნება გამოქვეყნებული კომპანიის ყველა ანგარიში, აგრეთვე მითითებას, რომ კომპანიის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

7.8. წლიური ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 16 მაისამდე.

7.9. მმართველობის ანგარიშგების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის 1 ოქტომბრამდე.

7.10. ნახევარწლიური ანგარიში, რომლისათვის არ მოითხოვება აუდიტორული დასკვნა, შედგენილ უნდა იქნას საანგარიშგებო წლის პირველი 6 თვის შესახებ, 30 ივნისის მდგომარეობით.

7.11. ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად შეიცავს ბალანსს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

7.12. ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს მიმდინარე სამეურნეო წლის 15 აგვისტომდე. თუ კომპანია გახდა ანგარიშვალდებული საწარმო სამეურნეო წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, ის ამ პუნქტში აღნიშნული ვადების დაცვით წარუდგენს ბირჟას ანგარიშს სამეურნეო წლის პირველი 6 თვის შესახებ.

7.13. ნახევარწლიური ანგარიშის თავფურცელი უნდა შეიცავდეს საგანგებო მითითებას კომპანიის ვებ-გვერდის შესახებ, სადაც იქნება გამოქვეყნებული კომპანიის ყველა ანგარიში, აგრეთვე მითითებას, რომ კომპანიის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

7.14. მიმდინარე ანგარიში დეტალურად უნდა აღწერდეს მომხდარი არსებითი მოვლენის ზუსტ, სრულ, თანმიმდევრულ და უახლეს ინფორმაციას. ინფორმაცია მოცემულ საკითხს შესაძლოა თან ახლდეს მითითება უკვე წარდგენილ რომელიმე დოკუმენტზე, მისი დასახელების, შესაბამისი ნაწილის (სათაური, გვერდი, აბზაცი) და წარდგენის თარიღის მითითებით.

7.15. საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარე ანგარიშის წარდგენა შეიძლება მოხდეს შემდეგი ერთი ან რამოდენიმე საფუძველით:

- ა) აქციათა კონტროლთან (მნიშვნელოვან წილთან, მნიშვნელოვან შენაძენთან) დაკავშირებული ცვლილებები; ამ ინფორმაციის მოწოდება

- უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების შესაბამისი რეგისტრატორის მიერ გაცემული ამონაწერის წარდგენის სახით;
- ბ) ლიკვიდაციის პროცესის დაწყების, ლიკვიდატორის დანიშვნისა და ლიკვიდატორის შესახებ ინფორმაცია;
- გ) საწარმოს ქონებაზე გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების გახსნა/შეწყვეტა ან რეაბილიტაცია;
- დ) საწარმოს საქმიანობის შეჩერების ან განახლების შესახებ;
- ე) საწარმოს მიერ აუდიტორის შერჩევისა და მისი შეცვლის შესახებ;
- ვ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ის ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის ცვლილების შესახებ;
- ზ) ინფორმაცია რეორგანიზაციის - შერწყმის/გაყოფის, ფასიანი ქაღალდის დანაწევრების, მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დადების, სხვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზების შესახებ;
- თ) ინფორმაცია საწარმოს შეფასებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენის შესახებ;
- ი) ინფორმაცია უკვე წარდგენილ ანგარიშში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

7.16. მიმდინარე ანგარიშში წარდგენილ უნდა იქნეს საწარმოს ანგარიშვალდებულების პერიოდში არსებითი ფაქტის (მოვლენის) დადგომიდან 15 დღის ვადაში.

7.17. მიმდინარე ანგარიშის თავფურცელი უნდა შეიცავდეს საგანგებო მითითებას კომპანიის ვებ-გვერდის შესახებ, სადაც იქნება გამოქვეყნებული კომპანიის ყველა ანგარიში, აგრეთვე მითითებას, რომ კომპანიის ყველა ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ვებ-გვერდზე www.gse.ge.

7.18. მიუხედავად 7.16 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა, ემიტენტსა და ბირჟას შორის დადებული ლისტინგში დაშვების შესახებ ხელშეკრულების თანახმად ემიტენტი ვადლდებულია დაუყოვნებლივ, ერთი დღის ვადაში აცნობოს ბირჟას ემიტენტის საქმიანობაში ისეთი არსებითი ცვლილების შესახებ ინფორმაცია, როგორცაა:

- ა) ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისიის შესახებ, ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაციის, დანაწევრებისა და სხვა ცვლილებების შესახებ;
- ბ) ემიტენტის საბანკო ანგარიშზე ყადაღის დადების შესახებ;
- გ) საგანგებო ვითარების შედეგად ქონების 10%-ზე მეტის განადგურების შესახებ;
- დ) საკუთარი კაპიტალის 25%-ზე მეტი მოცულობის კრედიტის მიღების შესახებ, თუ ეს არ ხორციელდება ემიტენტის ჩვეული საქმიანობის ფარგლებში;
- ე) მომსახურე რეგისტრატორთან ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და რეგისტრატორის შეცვლის შესახებ.

7.19. იმ შემთხვევაში, თუ ემიტენტი დადგენილ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ანგარიშის წარმოდგენას, ის ვალდებულია ანგარიშის წარდგენის ბოლო თარიღამდე წერილობით აცნობოს ბირჟას იმ ობიექტური მიზეზების შესახებ, რაც წარმოადგენს ვადაგადაცილების საფუძველს და მიუთითოს ის თარიღი, რომლისთვისაც წარმოადგენს ანგარიშს. ამავე წესით, ლისტინგის პირობებით დადგენილი რომელიმე

კრიტერიუმის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ემიტენტი ვალდებულია წარუდგინოს ბირჟას ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია დარღვევის გამომწვევი ობიექტური მიზეზების შესახებ და მიუთითოს ვადა ან თარიღი, რომლისთვისაც ის ვარაუდობს დარღვევის აღმოფხვრას.

7.20. ამ მუხლის 7.19 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ემიტენტი ვალდებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ბირჟისათვის წარდგენილი ინფორმაცია თავის ვებგვერდზე დაუყოვნებლივ, ბირჟაზე წარდგენის დღესვე, ხოლო ბირჟა უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის გასაჯაროებას სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ვებგვერდზე www.gse.ge.

7.21. ბირჟა მონიტორინგს უწევს ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების მიერ კანონმდებლობით დადგენილი საანგარიშგებო მოთხოვნების შესრულებას, რომლის თანახმად:

ა) მმართველი ორგანოს წევრების საკუთრებაში არსებული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა იმ დროიდან, როდესაც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული ან/და პირი გახდა მმართველი ორგანოს წევრი ან/და მმართველი ორგანოს წევრმა შეიძინა აღნიშნული საწარმოს ფასიანი ქაღალდები.

ბ) პირის მიერ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ამ ფაქტის დადგომიდან 15 დღის ვადაში.

7.22. ბირჟის ლისტინგის სამსახურის მიერ 7.2-7.3 პუნქტების შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგებების წარმოდგენისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსობრივი მხარისა ან/და გასაჯაროების მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, თუ ამავდროულად ემიტენტის მიერ არ არის დაცული 7.19 პუნქტის მოთხოვნები, ბირჟა მიმართავს მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

7.23. ბირჟა ყოველთვიურ მონიტორინგს უწევს ემიტენტის ფასიანი ქაღალდებით ბოლო ექვსი თვის ვაჭრობისა და ამ ფასიან ქაღალდებზე არასაბირჟო გარიგებების დაფიქსირების სიხშირეს და მოცულობას.

7.24. ემიტენტის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტების, ინფორმაციის მონიტორინგის შედეგების და ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ვაჭრობის შედეგების ანალიზის საფუძველზე, 7.3 პუნქტით დადგენილი პერიოდულობით, ბირჟის სალისტინგო სამსახური ადგენს სალისტინგო ფასიანი ქაღალდებისა და მათი ემიტენტების შესაბამისობას ლისტინგის პირობებით დადგენილ კრიტერიუმებთან.

7.25. ბირჟის ლისტინგის სამსახურის მიერ 7.2-7.3 და 7.24 პუნქტების შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი რომელიმე მოთხოვნის ან კრიტერიუმის დარღვევის შემთხვევაში, თუ ამავდროულად ემიტენტის მიერ არ არის დაცული 7.19 პუნქტის მოთხოვნები, ბირჟა მიმართავს სალისტინგო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების მიმართ მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

7.26. ამ მუხლით დადგენილი საანგარიშგებო მოთხოვნები არ ვრცელდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის და განვითარების ორგანიზაციის მიმართ,

მათ მიერ შესაბამისი ანგარიშის გამოქვეყნება/განთავსება თავისი ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ჩაითვლება ანგარიშების წარმოდგენად.

7.27. ამ დებულების 3.5 პუნქტით განსაზღვრული, რომელიმე აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტი/წევრი, წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა შესაძლებელია იმავე ფორმით და იმ ვადებში, როგორც ის წარადგენს ანგარიშგებას აღიარებულ საფონდო ბირჟაზე.

8. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვების პროცედურის ანაზღაურება

8.1. ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვებისას ემიტენტი/წევრი ბირჟის სასარგებლოდ იხდის გადასახდელებს, რომლის ოდენობა და გადახდის პერიოდულობა დგინდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი წესით (დანართი N4). აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ემიტენტზე.

8.2. 8.1 პუნქტში აღნიშნული გადასახდელებისა და მომსახურების საფასურის ოდენობა და გადახდის პერიოდულობა შეიძლება შეცვლილი იქნეს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, მაგრამ არა უხშირეს 6 თვეში ერთხელ. ამის შესახებ შესაბამის ლისტინგში დაშვებულ ფასიანი ქაღალდების ემიტენტს/წევრს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება არა ნაკლებ 6 თვით ადრე ცვლილებების ძალაში შესვლამდე. ამასთან, ემიტენტის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში დასაშვებია ცვლილებების ძალაში შესვლა უფრო გვიან გაკეთებული შეტყობინების საფუძველზეც.

8.3. ემიტენტთან, რომლის ფასიანი ქაღალდებს დროებით შეუჩერდება ბირჟის ლისტინგი, ხელშეკრულება არ წყდება და ამდენად, მისი ფასიანი ქაღალდები რჩება ლისტინგში დაშვებულად. შესაბამისად, ლისტინგის შეჩერების პერიოდში ემიტენტი არ თავისუფლდება „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვებისათვის დადგენილი გადასახდელებისა და მომსახურების საფასურის გადახდისაგან.

დანართი N1

ლისტინგის პირობები წილობრივი ფასიანი ქაღალდებისთვის (აქციები)	ლისტინგის კატეგორია	
	A	B

1	საკუთარი კაპიტალის ოდენობა არანაკლებ X ₁ ათასი ლარი	X ₁	1000	500	
2	ზარალის გარეშე მუშაობა 1 წელი მაინც ბოლო X ₂ წლიდან *	მეწარმე იურიდიული პირებისათვის	2	3	
		საწარმოებისათვის, რომლებიც შეიქმნა განაცხადის წარდგენის წელს	X ₂	-	-
3	გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - არანაკლებ X ₃ ათასი	X ₃	10	5	
4	ემიტენტი საწარმოების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისად		+	+	
5	ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ (7.26 პუნქტის გათვალისწინებით) ანგარიშების ჩაბარება და გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	წლიური - აუდიტებული, მხოლოდ უპირობო ან მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით (7.6 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით)	+	+	
		ნახევარწლიური - არააუდიტებული	+	+	
		მიმდინარე - არა კონფიდენციალური	+	+	
6	აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია არანაკლებ X ₄ ათასი ლარი	დაშვებიდან 3 თვის განმავლობაში (დასაშვებია რაოდენობის ნამრავლი განთავსების ფასზე)	X ₄	1000	500
		დაშვებიდან 3 თვის შემდეგ (რაოდენობის ნამრავლი საბაზრო ფასზე)			
7	საბირჟო წლიური ბრუნვა სავაჭრო სესიაზე დადებული გარიგებებიდან ყოველი კალენდარული წლის შედეგების მიხედვით**	არანაკლებ X ₅ ათასი ლარი; ან	X ₅	1000	100
		არანაკლებ Y ₁ % გამოშვებული აქციებიდან	Y ₁	5%	5%
8	ბირჟაზე დადებული გარიგებების ყოველთვიური ბრუნვა, გაანგარიშებული როგორც უკანასკნელი 6 თვის საშუალო თვიური მაჩვენებელი***	არანაკლებ X ₆ ათასი ლარი; ან	X ₆	50	2
		არანაკლებ Y ₂ % გამოშვებული აქციებიდან	Y ₂	0.25%	0.25%
9	თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი****	- არანაკლებ Y ₃ % გამოშვებული აქციებიდან; ან	Y ₃	15%****	5%****
		- თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტით განსაზღვრული აქციების საბაზრო კაპიტალიზაცია - არანაკლებ (X ₇) ათასი ლარი	X ₇	5000	5000

ლისტინგის პირობები სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის (ობლიგაციები)	ლისტინგის კატეგორია	
	A	B

1	საკუთარი კაპიტალის ოდენობა არანაკლებ X ₁ ათასი ლარი	X ₁	1000	500
2	ზარალის გარეშე მუშაობა 1 წელი მაინც ბოლო X ₂ წლიდან *	მეწარმე იურიდიული პირებისათვის	2	3
		საწარმოებისათვის, რომლებიც შეიქმნა განაცხადის წარდგენის წელს	-	-
		არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის	-	-
3	გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა - არანაკლებ X ₃ ათასი (გარდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა)	X ₃	2	1
3 ¹	მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა არანაკლებ X ₃ ¹ ცალი	X ₃ ¹	100	50
4	ემიტენტი საწარმოების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შესაბამისად		+	+
5	ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ (7.26 პუნქტის გათვალისწინებით) ანგარიშების ჩაბარება და გამოქვეყნება ვებ-გვერდზე	წლიური – აუდიტებული, მხოლოდ უპირობო ან მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით (7.6 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით)	+	+
		ნახევარწლიური - არააუდიტებული	+	+
		მიმდინარე - არა კონფიდენციალური	+	+
6	ფასიანი ქაღალდების ჯამური საბაზრო ღირებულება არანაკლებ X ₄ ათასი ლარი	დაშვებიდან 3 თვის განმავლობაში (დასაშვებია რაოდენობის ნამრავლი განთავსების ფასზე)	X ₄	2000
		დაშვებიდან 3 თვის შემდეგ (რაოდენობის ნამრავლი საბაზრო ფასზე)		

* მოთხოვნა 2020 წლის 28 მაისიდან დროებით გადავადებულია 2022 წ. პირველ იანვრამდე.

** ახლად შექმნილი კომპანიებისათვის, აგრეთვე იმ კომპანიებისათვის, რომელთა ფასიანი ქაღალდები ლისტინგში დაშვებამდე ბირჟაზე სავაჭროდ არ იყო დაშვებული, მოთხოვნის შესრულება იანგარიშება მომდევნო კალენდარული წლის შედეგების მიხედვით (კომპანიებისათვის საბირჟო წლიური ბრუნვის მაჩვენებლის შესრულებაზე მოთხოვნა 2014 წლის 1 ნოემბრიდან დროებით გადავადებულია უფლებამოსილი ორგანოს შემდგომ გადაწყვეტილებამდე).

*** მოთხოვნის შესრულება იანგარიშება **სავაჭრო სესიაზე** დადებული გარიგებებიდან. იმ კომპანიებისათვის, რომელთა ფასიანი ქაღალდები ლისტინგში დაშვებამდე ბირჟაზე სავაჭროდ არ იყო დაშვებული - მოთხოვნის შესრულება იანგარიშება დაშვებიდან 6 თვის პერიოდის შედეგების მიხედვით (კომპანიებისათვის ყოველთვიური ბრუნვის მაჩვენებლის შესრულებაზე მოთხოვნა 2014 წლის 1 ნოემბრიდან დროებით გადავადებულია უფლებამოსილი ორგანოს შემდგომ გადაწყვეტილებამდე).

**** ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი – ემიტენტის მიერ გამოშვებული და განთავსებული აქციების წილი, რომელიც არ განეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას:
ა) პირის (მათ შორის, ემიტენტის) რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ 5%-იან ან უფრო მსხვილ ამ კლასის ფასიანი ქაღალდების პაკეტს, გარდა იმ ფასიანი ქაღალდების პაკეტისა, რომელსაც დეპოზიტარული ხელწერილების გამოშვების მიზნით რეგისტრირებულ საკუთრებაში ფლობს საერთაშორისო დეპოზიტარი;
ბ) სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს;

გ) ემიტენტის მმართველი ორგანოს წევრებისა და თანამშრომლების რეგისტრირებულ საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს.

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი გაანგარიშებული უნდა იყოს განაცხადის წარმოდგენის წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო ლისტინგში ახლადდაშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის – ლისტინგში დაშვების თარიღის მდგომარეობით

***** ძალაშია 2023 წლის 1 სექტემბრამდე. 2023 წლის 1 სექტემბრიდან თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტი (პროცენტული მაჩვენებლები) A კატეგორიის ლისტინგისათვის განისაზღვრება 25%-ის ოდენობით, ხოლო B კატეგორიის ლისტინგისათვის 10%-ის ოდენობით.

დანართი N2ა

**ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდების დაშვებისთვის
აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი**

1. ემიტენტის წესდების ნოტარიულად (ან საჯარო რეესტრის მიერ, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ) დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას, როგორც მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით (ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი), ასევე PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით; საპრივატიზაციო და პრივატიზებულ საწარმოთათვის - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს (დაწესებულების) მიერ გაცემული პრივატიზაციის გეგმის ასლი (მისი არსებობის შემთხვევაში);
- 3¹. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ საბოლოო ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან ბირჟაზე წარმოდგენის თარიღისათვის გასულია დროის ისეთი ინტერვალი, რომლისთვისაც ემისიის პროსპექტში ჩართული ფინანსური ინფორმაცია აღმოჩნდება 18 თვეზე უფრო ადრინდელი, ემიტენტი ვალდებულია ემისიის პროსპექტთან ერთად წარმოადგინოს აუდიტორის მიერ უპირობო ან მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით დადასტურებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის.
4. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
5. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
6. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
7. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
8. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
9. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების საადრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის საადრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ.
10. თუ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

დანართი N28

ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდების დაშვებისთვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. ემიტენტის წესდების ნოტარიულად (ან საჯარო რეესტრის მიერ, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ) დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;

2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;

3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნას, როგორც მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით (ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი), ასევე PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით; საპრივატიზაციო და პრივატიზებულ საწარმოთათვის - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს (დაწესებულების) მიერ გაცემული პრივატიზაციის გეგმის ასლი (მისი არსებობის შემთხვევაში);

3¹. იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ საბოლოო ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან ბირჟაზე წარმოდგენის თარიღისათვის გასულია დროის ისეთი ინტერვალი, რომლისთვისაც ემისიის პროსპექტში ჩართული ფინანსური ინფორმაცია აღმოჩნდება 18 თვეზე უფრო ადრინდელი, ემიტენტი ვალდებულია ემისიის პროსპექტთან ერთად წარმოადგინოს უდიტორის მიერ უპირობო დასკვნით (ან 7.6 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, - მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით) დადასტურებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის.

4. ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის:

4.1. მარეგულირებელი ორგანოს წესებით დადგენილი ფორმის წლიური ანგარიში ბოლო 3 წლის განმავლობაში. თუ კომპანია 3 წელზე ნაკლები პერიოდი არსებობს, მოთხოვნა ეხება არსებობის პერიოდის შესაბამის წლიურ ანგარიშებს;

4.2. სხვა პერიოდული საანგარიშგებო დოკუმენტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარედგინოს მარეგულირებელ ორგანოს;

4.3. თუ ლისტინგში დაშვების მსურველი ემიტენტი წარმოადგენს ისეთ ანგარიშვალდებულ საწარმოს, რომელიც დაშვებულია ბირჟის სავაჭრო სისტემაში და მას ბოლო 3 წლის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც მარეგულირებელ ორგანოში, საევე საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარდგენილი აქვს ყველა აუცილებელი ანგარიში, ამ პუნქტის 4.1 ან/და 4.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშგებების წარმოდგენა მისთვის სავალდებულო არ არის. ამ შემთხვევაში საკმარისია წარმოსადგენ დოკუმენტებს დაერთოს წერილობითი შეტყობინება ყოველი ანგარიშგების დასახელებისა და ბირჟაზე წარმოდგენის თარიღის მითითებით.

5. იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ბირჟის ლისტინგში განაცხადის შემოტანამდე კანონმდებლობით არ იყვნენ ვალდებული წარედგინათ მარეგულირებელ ორგანოში პერიოდული ანგარიშები - მარეგულირებელ ორგანოში ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება. თუ კომპანია 2 წელზე ნაკლები პერიოდი არსებობს, მოთხოვნა ეხება არსებობის პერიოდის შესაბამის წლიურ ანგარიშს;

6. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);

7. ცნობა ემიტენტის ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის ან მისი შესაბამისი საბაზრო კაპიტალიზაციის შესახებ;

8. ყველა იმ საწარმოს სია, რომელთა საწესდებო კაპიტალის 10%-ზე მეტს ფლობს ემიტენტი;

9. საგადახდო დავალების ასლი საწყისი სალისტინგო შესატანის გადახდაზე;

10. ლისტინგის კატეგორიების მიხედვით აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა უნდა მოიცავდეს პერიოდს:
- ა) სულ მცირე ბოლო 2 წლისათვის (მოთხოვნა ვრცელდება ემიტენტზე, რომელსაც სურს ბირჟის A კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დაშვება);
 - ბ) თუ ემიტენტი საქმიანობას 2 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ახორციელებს, ამ პუნქტში აღნიშნულ ანგარიშგებას იგი წარადგენს დაარსებიდან განაცხადის წარდგენამდე პერიოდისათვის (მოთხოვნა ვრცელდება ემიტენტზე, რომელსაც სურს ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დაშვება);
11. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
12. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
13. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, შესაბამის ლისტინგში დაშვების შესახებ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების, ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
14. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ.
15. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

დანართი N2გ

ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების/განვითარების ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების დაშვებისთვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი უცხო ქვეყნის იმ აღიარებული საფონდო ბირჟიდან, რომელზეც განთავსებულია ემიტენტის ფასიანი ქაღალდები;

- 1¹. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და განვითარების ორგანიზაციისათვის არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, აღნიშნულის დადასტურება მათ შეუძლიათ შესაბამისი ვებ-გვერდის მითითებით.
2. განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკისადმი წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით და PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის ან რეესტრის მწარმოებელი პირის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
5. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა)*;
6. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
7. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ;
8. საგადახდო დავალების ასლი საწყისი სალისტინგო შესატანის გადახდაზე.
9. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

* - მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდებზე.

დანართი N3ა

(იბეჭდება განმცხადებლის
საფირმო ბლანკზე)

“საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი
ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის“
სავაჭრო სისტემაში დაშვებაზე

განმცხადებელი _____
(ემიტენტის ან ბირჟის წევრის დასახელება)

გთხოვთ განიხილოთ ბირჟის სავაჭრო სისტემაში შემდეგი ფასიანი ქაღალდების დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი _____
2. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____
(აქცია, ობლიგაცია და ა.შ.)
3. გამოშვების საერთო მოცულობა _____
(ლარი, დოლარი და ა.შ.)
4. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____
5. ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
6. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი _____
7. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო N _____
8. საპროცენტო განაკვეთი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
9. მომიქცევის ვადა _____ (თუ ამგვარი არსებობს);
10. დაფარვის თარიღი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
11. განსაკუთრებული მახასიათებლები _____

დანართის სახით წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

1. ემიტენტის წესდების ნოტარიულად (ან საჯარო რეესტრის მიერ, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ) დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით ;
3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი, როგორც მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით (ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი), ასევე PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით; საპრივატიზაციო და პრივატიზებულ საწარმოთათვის - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს (დაწესებულების) მიერ გაცემული პრივატიზაციის გეგმის ასლი (მისი არსებობის შემთხვევაში);

3¹. აუდიტორის მიერ უპირობო ან მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით დადასტურებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის (მოთხოვნა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ საბოლოო ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან ბირჟაზე წარმოდგენის თარიღისათვის გასულია დროის ისეთი ინტერვალი, რომლისთვისაც ემისიის პროსპექტში ჩართული ფინანსური ინფორმაცია აღმოჩნდება 18 თვეზე უფრო ადრინდელი);

4. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა).

5. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);

6. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის მარეგულირებელი დოკუმენტი;

7. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

8. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

9. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიანი ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ.

10. თუ ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

განმცხადებლის თანამდებობა, გვარი და სახელი

განცხადების თარიღი `” ____ ” _____ 20 წ.

ბ.ა.

დანართი N38

(იბეჭდება განმცხადებლის
საფირმო ბლანკზე)

“საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის“
A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში დაშვებაზე

განმცხადებელი _____
(ემიტენტის ან ბირჟის წევრის დასახელება)

გთხოვთ განიხილოთ ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში შემდეგი ფასიანი ქაღალდების დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი _____
2. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____
(აქცია, ობლიგაცია და ა.შ.)
3. გამოშვების საერთო მოცულობა _____
(ლარი, დოლარი და ა.შ.)
4. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____
5. ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
6. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი _____
7. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო N _____
8. საპროცენტო განაკვეთი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
9. მომიქცევის ვადა _____ (თუ ამგვარი არსებობს);
10. დაფარვის თარიღი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
11. განსაკუთრებული მახასიათებლები _____

დანართის სახით წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

1. ემიტენტის წესდების ნოტარიულად (ან საჯარო რეესტრის მიერ, ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ) დამოწმებული ასლი წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან წარმოდგენის მომენტისათვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით;
3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი, როგორც მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით (ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი), ასევე PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით; საპრივატიზაციო და პრივატიზებულ საწარმოთათვის - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების განკარგვაზე უფლებამოსილი ორგანოს

(დაწესებულების) მიერ გაცემული პრივატიზაციის გეგმის ასლი (მისი არსებობის შემთხვევაში);

3¹. აუდიტორის მიერ უპირობო დასკვნით (ან 7.6 პუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, - მოდიფიცირებული პირობითი დასკვნით) დადასტურებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები, ხოლო არსებობის შემთხვევაში – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები ბოლო 2 სამეურნეო წლისათვის (მოთხოვნა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მარეგულირებელი ორგანოს მიერ საბოლოო ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან ბირჟაზე წარმოდგენის თარიღისათვის გასულია დროის ისეთი ინტერვალი, რომლისთვისაც ემისიის პროსპექტში ჩართული ფინანსური ინფორმაცია აღმოჩნდება 18 თვეზე უფრო ადრინდელი);

4. ანგარიშვალდებული საწარმოებისათვის:

4.1. მარეგულირებელი ორგანოს წესებით დადგენილი ფორმის წლიური ანგარიში ბოლო 3 წლის განმავლობაში. თუ კომპანია 3 წელზე ნაკლები პერიოდი არსებობს, მოთხოვნა ეხება არსებობის პერიოდის შესაბამის წლიურ ანგარიშებს;

4.2. სხვა პერიოდული საანგარიშგებო დოკუმენტები, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარედგინოს მარეგულირებელ ორგანოს;

4.3. თუ ლისტინგში დაშვების მსურველი ემიტენტი წარმოადგენს ისეთ ანგარიშვალდებულ საწარმოს, რომელიც დაშვებულია ბირჟის სავაჭრო სისტემაში და მას ბოლო 3 წლის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც მარეგულირებელ ორგანოში, ასევე საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარდგენილი აქვს ყველა აუცილებელი ანგარიში, ამ პუნქტის 4.1 ან/და 4.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშგებების წარმოდგენა მისთვის სავალდებულო არ არის. ამ შემთხვევაში საკმარისია წარმოსადგენ დოკუმენტებს დაერთოს წერილობითი შეტყობინება ყოველი ანგარიშგების დასახელებისა და ბირჟაზე წარმოდგენის თარიღის მითითებით.

5. იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ბირჟის ლისტინგში განაცხადის შემოტანამდე კანონმდებლობით არ იყვნენ ვალდებული წარედგინათ მარეგულირებელ ორგანოში პერიოდული ანგარიშები - მარეგულირებელ ორგანოში ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება. თუ კომპანია 2 წელზე ნაკლები პერიოდი არსებობს, მოთხოვნა ეხება არსებობის პერიოდის შესაბამის წლიურ ანგარიშს;

6. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);

7. ცნობა ემიტენტის ფასიანი ქაღალდების თავისუფალი ბრუნვის კოეფიციენტის ან მისი შესაბამისი საბაზრო კაპიტალიზაციის შესახებ;

8. ყველა იმ საწარმოს სია, რომელთა საწესდებო კაპიტალის 10%-ზე მეტს ფლობს ემიტენტი;

9. საგადახდო დავალების ასლი საწყისი სალისტინგო შესატანის გადახდაზე;

10. ლისტინგის კატეგორიების მიხედვით აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა უნდა მოიცავდეს პერიოდს:

ა) სულ მცირე ბოლო 2 წლისათვის (მოთხოვნა ვრცელდება ემიტენტზე, რომელსაც სურს ბირჟის A კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დაშვება);

ბ) თუ ემიტენტი საქმიანობას 2 წელზე ნაკლები დროის განმავლობაში ახორციელებს, ამ პუნქტში აღნიშნულ ანგარიშგებას იგი წარადგენს დაარსებიდან განაცხადის წარდგენამდე პერიოდისათვის (მოთხოვნა ვრცელდება ემიტენტზე, რომელსაც სურს ბირჟის B კატეგორიის ლისტინგში ფასიანი ქაღალდის დაშვება);

11. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
12. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
13. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, შესაბამის ლისტინგში დაშვების შესახებ ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს ან პარტნიორთა კრების ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
14. ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ ცენტრალურ დეპოზიტარში წარდგენილი განაცხადის ასლი; ემიტენტის ფასიანი ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ.
15. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

განმცხადებლის თანამდებობა, გვარი და სახელი

განცხადების თარიღი „ ___ “ _____ 20 წ.

ბ.ა.

დანართი N3გ

(იბეჭდება განმცხადებლის
საფირმო ბლანკზე)

“საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე დაშვებული ან/და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის“
A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში დაშვებაზე

განმცხადებელი _____
(ემიტენტის ან ბირჟის წევრის დასახელება)

გთხოვთ განიხილოთ ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში შემდეგი ფასიანი ქაღალდების დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი _____
2. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____
(აქცია, ობლიგაცია და ა.შ.)
3. გამოშვების საერთო მოცულობა _____
(ლარი, დოლარი და ა.შ.)
4. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____
5. ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
6. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი _____
7. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო N _____
8. საპროცენტო განაკვეთი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
9. მომიქცევის ვადა _____ (თუ ამგვარი არსებობს);
10. დაფარვის თარიღი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
11. განსაკუთრებული მახასიათებლები _____

დანართის სახით წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

1. უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტი უცხო ქვეყნის იმ აღიარებული საფონდო ბირჟიდან, რომელზეც განთავსებულია ემიტენტის ფასიანი ქაღალდები;
1¹. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტისა და განვითარების ორგანიზაციისათვის არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, აღნიშნულის დადასტურება მათ შეუძლიათ შესაბამისი ვებ-გვერდის მითითებით.
2. განსახორციელებელი საჯარო შეთავაზების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკისადმი წარდგენილი წერილობითი შეტყობინების ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით და PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
5. ინფორმაცია მომსახურე აუდიტორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა)*;
6. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
7. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ;
8. საგადახდო დავალების ასლი საწყისი სალისტინგო შესატანის გადახდაზე.
9. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

* - მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ორგანიზაციების ფასიან ქაღალდებზე.

განმცხადებლის თანამდებობა, გვარი და სახელი

განცხადების თარიღი „ ___ “ _____ 20 წ.

ბ.ა.

დანართი N3დ

(იბეჭდება განმცხადებლის
საფირმო ბლანკზე)

“საქართველოს საფონდო ბირჟის“
გენერალურ დირექტორს

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

საქართველოს სამთავრობო ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის“
A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში დაშვებაზე

განმცხადებელი _____
(ემიტენტის ან ბირჟის წევრის დასახელება)

გთხოვთ განიხილოთ ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში შემდეგი ფასიანი ქაღალდების დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი: _____
2. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____
(სახაზინო ობლიგაცია და ა.შ.)
3. ფასიანი ქაღალდების ვადიანობა _____
(დღეები, თვეები/წლები)
4. მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____
5. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება _____
6. ფასიანი ქაღალდების აუქციონზე განთავსების თარიღი _____
7. ფასიანი ქაღალდების დაფარვის თარიღი _____
8. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო N _____
9. განსაკუთრებული მახასიათებლები _____

დანართის სახით წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

1. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი. ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე ბირჟის სავაჭრო სისტემაში ოპერაციები განხორციელდება მხოლოდ ამ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შემდეგ.

2. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

განმცხადებლის თანამდებობა, გვარი და სახელი

განცხადების თარიღი „ ___ “ _____ 20 წ.

ბ.ა.

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

**მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის“
A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში დაშვებაზე**

განმცხადებელი _____
(ემიტენტის ან ბირჟის წევრის დასახელება)

გთხოვთ განიხილოთ ბირჟის A კატეგორიის/B კატეგორიის ლისტინგში შემდეგი ფასიანი ქაღალდების დაშვების საკითხი:

1. ემიტენტი _____
2. ფასიანი ქაღალდის სახეობა _____
(ობლიგაცია და ა.შ.)
3. გამოშვების საერთო მოცულობა _____
(ლარი, დოლარი და ა.შ.)
4. გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა _____
5. ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _____
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
6. ფასიანი ქაღალდების გამოშვების თარიღი _____
7. ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო N _____
8. საპროცენტო განაკვეთი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
9. მომიჯცევის ვადა _____ (თუ ამგვარი არსებობს);
10. დაფარვის თარიღი _____ (თუ ამგვარი არსებობს);
11. განსაკუთრებული მახასიათებლები _____

დანართის სახით წარმოდგენილია შემდეგი დოკუმენტები:

1. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევისა და დაფარვის მარეგულირებელი დოკუმენტი;

2. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო ემისიის პროსპექტი მატერიალიზებული დოკუმენტის ფორმით (ნოტარიულად ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამოწმებული ასლი), ან/და PDF-ის ფორმატში წარმოდგენილი ელექტრონული დოკუმენტის ფორმით;
3. მონაცემები ემიტენტის მომსახურე რეგისტრატორის შესახებ (სრული დასახელება, იურიდიული სტატუსი და ადგილმდებარეობა);
4. საგადახდო დავალების ასლი საწყისი სალისტინგო შესატანის გადახდაზე;
5. მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდებისათვის მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟის შესაბამის ლისტინგში დაშვების შესახებ ემიტენტის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.
7. ცენტრალურ დეპოზიტარში ემიტენტის ფასიანი ქაღალდების სააღრიცხვო სისტემაში დაშვების შესახებ განაცხადის ასლი.
8. თუ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვება ინიცირებულია ემიტენტთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე მოქმედი საქართველოს საფონდო ბირჟის წევრის მიერ, ემიტენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული ასეთი შეთანხმების დამადასტურებელი საბუთი.

განმცხადებლის თანამდებობა, გვარი და სახელი

განცხადების თარიღი „ ___ “ _____ 20 წ.

ბ.ა.

„საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ ფასიანი ქაღალდების ლისტინგში
დაშვებისათვის დადგენილი გადასახდელები და მომსახურების საფასური

დასახელება	თანხა (დღგ-ს გარეშე)
<p><u>1. საწყისი შესატანი:</u></p> <p><u>ა) ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ლისტინგში თავდაპირველად დაშვების შემთხვევაში</u></p> <p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p><u>ბ) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ სხვა (ან სხვა კლასის) ფასიანი ქაღალდების, ან იმავე ფასიანი ქაღალდების მე-2 ემისიის ლისტინგში დაშვების შემთხვევაში</u></p> <p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p><u>გ) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების</u></p>	<p>2500 ლარი</p> <p>1500 ლარი</p> <p>2000 ლარი</p> <p>1000 ლარი</p>

<p>ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების მე-3, მე-4 და ა. შ. ემისიის ლისტინგში დაშვების შემთხვევაში</p> <p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p>	<p>1000 ლარი</p> <p>500 ლარი</p>
<p><u>2) ყოველკვარტალური გადასახდელი: *</u></p>	
<p><u>ა) ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ლისტინგში თავდაპირველად დაშვების შემთხვევაში</u></p>	
<p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p>	<p>2500 ლარი</p> <p>1500 ლარი</p>
<p>ბ) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ სხვა (ან სხვა კლასის) ფასიანი ქაღალდების, ან იმავე ფასიანი ქაღალდების მე-2 ემისიის ლისტინგში დაშვების შემთხვევაში</p>	
<p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p>	<p>2000 ლარი</p> <p>1000 ლარი</p>
<p>გ) ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ლისტინგში დაშვებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების მე-3, მე-4 და ა. შ. ემისიის ლისტინგში დაშვების შემთხვევაში</p>	
<p>- A კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p> <p>- B კატეგორიის ლისტინგის შემთხვევაში</p>	<p>1000 ლარი</p> <p>500 ლარი</p>

* გადახდა წარმოებს ყოველი კვარტლის დასაწყისში ბირჟის მიერ გამოწერილი ინვოისის საფუძველზე, ინვოისის მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

დანართი N5

საპრეტენზიო განაცხადი

მიმღები:	სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭო
განაცხადის წარმდგენი:	ემიტენტი კომპანიის სრული დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი
იურიდიული მისამართი	
ფაქტობრივი მისამართი	
ტელეფონ(ებ)ი	
ვებ-გვერდი და ელ. ფოსტა	
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი თანამდებობა ტელეფონი	სახელი, გვარი, პირადი ნომერი
რწმუნებული (თუ განაცხადის წარმდგენია მინდობილი პირი)	
რწმუნებულის სრული საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	
პრეტენზიის საფუძველია:	<input type="checkbox"/> ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეჩერება <input type="checkbox"/> სავაჭრო სისტემაში დაშვების პროცესში ლისტინგის სამსახურის ქმედება <input type="checkbox"/> ლისტინგში დაშვების პროცესში ლისტინგის სამსახურის ქმედება

გთხოვთ ჩამოაყალიბოთ თქვენი	
პრეტენზია:	
მოთხოვნა:	
არგუმენტაცია:	
წარმოდგენილი დოკუმენტაცია:	
განმცხადებლის ხელმოწერა	_____
პრეტენზიის წარდგენის თარიღი	_____